განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
4 ივლისი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
1 აგვისტო, 2018

თბილისი,
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მინიჭებული კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდის მითითებით | განათლების მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 300 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავჯდომარე (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა |
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლელა იოსავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლალი ბერიშვილი (დასაქმების ექსპერტი) |
| წევრი (სახელი და გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა წარდგენილ იქნა, როგორც ახალი, თუმცა, ნაწილობრივ, იგი ემყარება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის და ზოგიერთი სხვა შესაბამისი პროგრამის უკვე არსებულ გამოცდილებას .

პროგრამა აგებულია ლოგიკურად, მისი ძირითადი კომპონენტები კარგადაა გააზრებული და კარგი შესაძლებლობა აქვს გამოყენებულ იყოს პროგრამის ეფექტიან საყრდენად (მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი და სტრუქტურა, სწავლების მეთოდები და მეტი).

სტუდენტური მომსახურებები, როგორც წესი, სათანადოდ შემუშავებულია და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნება, ასევე, მოცემული მომენტისთვის, პროგრამის განსახორციელებლად შრომითი რესურსები საკმარისია . იგივე შეიძლება ითქვას მატერიალური რესურსების შესახებ, ბიუჯეტის ჩათვლით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სათანადოდაა მომზადებული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა დაიწყო ადგილზე ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე - ექსპერტთა პანელს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში და შესაბამის პროგრამასთან დაკავშირებული ბევრი სხვა დოკუმენტი, რომლის შემდეგ პანელმა აღნიშნული მასალა შეისწავლა. წინასწარი შესწავლის პერიოდის შემდეგ, ჩვენ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, გვქონდა შესაძლებლობა გაგვემართა შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) შენობაში თბილისში, 2018 წლის 2 ივლისს - ჩვენ გამოვიყენეთ NCEQE-ის პერსონალის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ადგილზე ვიზიტისთვის მოვამზადეთ შედარებით უფრო დეტალური დღის წესრიგი.

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 4 ივლისს. მთელი დღის განმავლობაში, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გავსაუბრებოდით უნივერსიტეტის (და არა მხოლოდ) პერსონალის ყველა შესაბამის ჯგუფს. კონკრეტულად, ჩვენ გავესაუბრეთ უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებს (რექტორისა და კანცლერის ჩათვლით), თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის წევრებს, მოწვეულ ლექტორებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ხარისხის უზრუნველყოფის მოხელეებს, დეკანს. ასევე, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა შენობა, მათ შორის, სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ოფისი. მთლიანი ვიზიტის განმავლობაში, ჩვენ მხარდაჭერა მივიღეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) წარმომადგენლებისგან.

მიგვაჩნია, რომ მთლიანი პროცედურა დაგვეხმარა პროგრამის კარგად გაცნობაში და მის შეფასებაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ შემუშავებული და გამოყენებული სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო**
  **პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 - შეესაბამება მოთხოვნებს
- სტანდარტი 2 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- სტანდარტი 3 - შეესაბამება მოთხოვნებს
- სტანდარტი 4 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- სტანდარტი 5 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- რეკომენდაციები
  - გადახედეთ სწავლის შედეგებს შემდეგი კურსებისთვის: "ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები" და "სკოლის მენეჯმენტი"
  - გადაამოწმეთ, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები ყოველთვის შეესაბამებოდეს პირველადი განათლების დონეს. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიდაქტიკაში T&L მეთოდები სცდება პირველად დონეს.
  - განაახლეთ ლიტერატურა "საბუნებისმეტყველო მეცნიერების ინტეგრირებული კურსი 2", დამატებულ იქნას გეოგრაფია და ასტრონომია, რათა კურსი მოიცავდეს უახლეს მიღწევებსა და აღმოჩენებს.
  - უზრუნველყავით, რომ სტუდენტები გამართულად ფლობდნენ ინგლისურ ენას.
  - უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი გამართულად ფლობდეს ინგლისურ ენას.
  - უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი ფლობდეს სწავლების მეთოდოლოგიას (კვლევის განხორციელებას, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომას, სხვადასხვა სუბიექტების კონკრეტულ დიდაქტიკას, შეფასების პროცესს და ა.შ.), პერსონალის კვლევით უნარ-ჩვევებს, ხელმძღვანელობის/ზედამხედველობის უნარებს.
  - მოიძიეთ რესურსები, რათა გაიზარდოს ხელმისაწვდომობა იმ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც ხელმისაწვდომს ხდის განათლებისა და ფსიქოლოგიის ელექტრონულ რესურსებს (გაცდით აბსტრაქტებსა და ძველი წიგნებს).
  - ამ კითხვა-პასხუხებზე მუშაობისთვის, მოახდინეთ ინფორმაციის წყაროების და მექანიზმების დივერსიფიცირება.
  - გააფართოვეთ ხარისხის უზრუნველყოფის არეალი (არა მარტო სწავლების პროცესის, არამედ კვლევის, ინტერნაციონალიზაციის და ა.შ.).
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - გადახედეთ ინტეგრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებს.
  - უზრუნველყავით, რომ სკოლის პრაქტიკაში ადმინისტრირებისას მიღწეული იქნას დაბალანსებული ლოკალიზაცია (ქალაქის ცენტრს გარდა სტუდენტების გაგზავნა დისტანციურ ადგილებში).
  - განიხილეთ პრაქტიკის მენტორის არსებითი ჩართულობა სკოლაში.
  - გააძლიერეთ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის დონე უცხოური ენის კურსების სტუდენტებისთვის, საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, სტიპენდიებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიმართულებით.
  - უზრუნველყავით უწყვეტი ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის და მოწვეული ლექტორების ზედამხედველობა სამაგისტრო ნაშრომებში.

- რეგულარულად გაანალიზეთ და შეაფასეთ ზედამხედველობითი პროცესები.
- მკაფიოდ განსაზღვრეთ ადმინისტრაციისა და დახმარე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, იზრუნეთ ფაკულტეტის პერსონალზე და უზრუნველყავით, რომ თავიდან არიდებული იქნას საქმიანობის დუბლირება.
- უზრუნველყავით, რომ პერსონალის მრავალრიცხოვანი ფუნქციების არსებობის ხარჯზე არ მოხდეს პროგრამის ეფექტურობის კლება.
- უზრუნველყავით შესაბამისი ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
- გამოიყენეთ არსებული სასწავლო მართვის სისტემის უფრო კომპლექსური ვერსია.

- საუკეთესო
  პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის
  შემთხვევაში)

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და
  პროგრესის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1 პროგრამის მიზნები** |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები კარგადაა განსაზღვრული და მოიცავს ყველა ძირითად და შესაბამის სფეროს. პროგრამის მიზნები ძირითადად ორიენტირებულია ცოდნის, უნარ-ჩვევების, ასევე სტუდენტების, მომავალი დაწყებითი კლასების მასწავლებლების ღირებულებებსა და კომპეტენციებზე.<br><br>მიზნები ხაზგასმით ამახვილებს ყურადღებას სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც დასაფასებელია.<br><br>გარდა ამისა, ამოცანები მიმართულია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებასა და სტუდენტების დამოუკიდებელ მოქმედებაზე, რომელიც საერთო ჯამში ეფუძნება სტუდენტის პასუხისმგებლობის გრძნობას.<br><br>შესაბამისად, პროგრამის ამოცანები ქმნის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას (სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე), რაც მნიშვნელოვანია ყველა მასწავლებლისთვის და მისი კარიერული წინსვლისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o პროგრამის აღწერა<br>გასაუბრებები |

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები)/შეთავაზება (შეთავაზებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვისთვის:**

არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1,2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები კარგად არის განსაზღვრული და ლოგიკურად დაკავშირებულნი.

პროგრამების სწავლის შედეგები ძალიან კონკრეტულად და დეტალურადაა შემუშავებული. იგი დაყოფილია პროგრამის ძირითადი ელემენტების მიხედვით და შემდეგ თითოეული სასწავლო პროგრამის კომპონენტში საკმარის დონეზე დეტალურად არის გამოყენებული (პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდული, საგნობრივი ჯგუფის მოდული, სკოლის პრაქტიკა და პრაქტიკული კვლევის მოდული, თავისუფალი კომპონენტების მოდული) ამ გზით შესაძლებელია მოვიპოვოთ ნათელი სურათი. ასევე, კარგად მუშაობს სწავლის შედეგების რუქა და თუ როგორ არის ის დაკავშირებული პროგრამის ცალკეულ ინდივიდუალურ კურსებთან.

ეს შეიძლება ჩაითვალოს, როგორც შედარებით სასარგებლო და პრაქტიკული დასაწყისი, რადგან პროგრამის შედეგები და მისი მთავარი ნაწილები ეფექტიურად იქნება დაკავშირებული ინდივიდუალური კურსების სწავლის შედეგებთან.

აგრეთვე, დამაკმაყოფილებელია სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმა. იგი მოიცავს სხვადასხვა მეთოდს და მიდგომას, უწყვეტი შეფასებისა და მონიტორინგის სტრატეგიას, რომელშიც შესული იქნება როგორც პერსონალის აქტიური მუშაობა პროგრამაში, ასევე ხარისხის გარანტია.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს სწავლის შედეგების შემუშავებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების ანგარიშის
აღწერილობა პროგრმის
ინტერვიუებისთვის.

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **მნიშვნელოვანი**<br>**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2,1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.<br><br>პირველადი განათლების პედაგოგების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო და სამაგისტროს პროგრამაზე დასწრება შესაძლებელია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მოქალაქეებისათვის. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ პირს, რომელსაც აქვს ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ექვივალენტური დოკუმენტი ან პიროვნებას (საქართველოს მოქალაქე), რომელმაც ჩააბარა ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლება, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი განათლების მასწავლებლების მომზადებისთვის პროგრამაში. მონაწილეობის მსურველები აბარებენ ეროვნულ გამოცდებს ისტორიაში, გეოგრაფიაში ან ქართულ ლიტერატურაში, როგორც არჩევითი საგნებში. არჩევითი საგნები შეირჩა პროგრამის შესაბამისად და ეფუძნება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების უკეთ ასიმილაციის პრინციპს. |

| |
|---|
| საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა მშობლიური ენა სომხური, აზერბაიჯანული ან/და ოსურია, შეუძლიათ ჩაერთონ პროგრამაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმატებით ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს მშობლიურ ენაზე და გაივლიან ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ენის ცოდნის B2 დონეს.<br><br>უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ითხოვს ქართული ენის ცოდნას B1/B2 სავალდებულო დონეზე. მობილობა ხორციელდება სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად.<br><br>ინტერვიუს დროს წარმოდგენილი ერთ-ერთი მოსწავლე, რომლის მშობლიური ენა ქართული არ იყო, განიხილავს შემოდგომის სემესტრში ინდივიდუალური ქართულენოვანი კურსის გავლას. ის ფაქტი, რომ აღნიშნული სტუდენტი ვერ ახერხებს კომუნიკაციას ქართულ ენაზე, დამატებით კითხვებს ბადებს უნივერსიტეტში ჩარიცხვის კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან მიმართებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o პროგრამა (პროგრამაზე მიღების წინაპირობები)<br>o ვებ-გვერდი<br>o ინფორმაცია პროგრამის დაშვების წინაპირობების გავრცელების შესახებ (გაზეთები, პრეზენტაციები სკოლებში)<br>o ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>უზრუნველყავით, რომ მიღების კრიტერიუმები ყოველთვის განხორციელებული იყოს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **მნიშვნელოვანიან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონში ერთადერთია, რომელიც აერთიანებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამას დაწყებითი განათლების მასწავლებელთა ტრეინინგში. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი (რეგიონული) პედაგოგების 50% სჯსსუ-ის კურსდამთავრებულია, ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ეს წარმატების მაჩვენებელია.
წარმოდგენილმა საგანმანათლებლო პროგრამამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. პროგრამის მიზნები შეესაბამება ინსტიტუტის მისიას და მიმდინარე სტრატეგიულ გეგმას.

პროგრამა შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული კვლევის საფუძველზე: "მასწავლებელთა დეფიციტის განმსაზღვრელი სტატისტიკური ანალიზი" 2016. აღნიშნულმა კვლევამ, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული შეხვედრების საფუძველზე მოძიებული საჭიროებების შეფასებასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა პროგრამას, რომელიც მასწავლებლებს მოამზადებს სკოლის დამწყები დონის საგნებისთვის, / (I-IV - ინტეგრირებული (მათემატიკა, ბუნებრივი მეცნიერება, ქართული ენის ლიტერატურა I - VI ქართული ენა და ლიტერატურა)

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. 300 კრედიტიდან 53 კრედიტი უფასო კომპონენტებია, 17 სავალდებულო და 36 არჩევითი კურსი. სპეციალობის მოდული შედგება პირველადი დონის საგნობრივი ჯგუფებისგან, რომლებიც მოიცავს 187 კრედიტს, ხოლო სკოლის პრაქტიკა და პრაქტიკული კვლევითი მოდული შეადგენს 60 კრედიტს.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება ფაკულტეტის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლისა და პროგრამის პერსონალის მიერ. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა იყენებს პირდაპირი და ირიბი შეფასების მეთოდებს.

სკოლის დირექტორებთან, მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან და მოსწავლეებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ თითოეული დაინტერესებული მხარის მოთხოვნები და მოსაზრებები ყურადღებით არის გათვალისწინებული პროგრამის დაგეგმვისას. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და საჭიროებების შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამა მოიცავს საგნებს, რომლებიც იდეალურად უზრუნველყოფს ახალი მასწავლებლებისთვის იმ ICT- უნარების, (ინფორმაცია, კომუნიკაცია, ტექნოლოგია ), უნარჩვევებისა და მეთოდების შესწავლას, რომელებიც შეესაბამება მრავალ-საფეხურიანი სასწავლო კლასის მოთხოვნებს (ამ თვალსაზრისით, რეგიონის სკოლები განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფება). აღშნიული საგნები ასევე უზრუნველყოფს იმ სპეციფიური უნარების შესწავლას, რომლებიც საჭიროა სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან და ორენოვან სტუდენტებთან სამუშაოდ (მეთოდიკა).

პროგრამის სწავლის სამიზნე ნიშნულები წარმოადგენს განათლების, უნარებისა და ღირებულებების იმ სტანდარტებს, რომლებიც სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ პროგრამის დასასრულს. სასწავლო მიზნები შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიულ კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი აკმაყოფილებს სექტორის საორიენტაციო მოთხოვნებს. პროგრამის შემსწავლელმა უნდა მიიღოს დამატებითი ტრენინგები სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>საგანმანათლებლო<br>პროგრამის კურსის |

| |
|---|
| თვითშეფასების ანგარიში;<br>საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია კურიკულუმის რუკაზე.<br>ვებ-გვერდი<br>დოკუმენტაციის და ინტერვიუების დადასტურება, დაინტერესებული მხარეების ჩართვა პროგრამის დიზაინირების პროცესში |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:<br><br>არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| მნიშვნელოვანი<br>მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში თითოეული კურსი განსაზღვრავს და ადგენს ჩარიცხვის წინაპირობებსა და პროცედურებს, რომლებიც ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას. პროგრამა დიდწილად ითვალისწინებს განათლების სფეროში მიმდინარე მიღწევებს, მაგალითად, ინოვაციური მეთოდების, ფორმალური შეფასების, დიფერენციალური მეთოდებისა და სტრატეგიული სწავლების ჩართვას. ძირითადი კურსების სასწავლო შედეგები შეესაბამება პროგრამის სასწავლო შედეგებს, თუმცა რამდენიმე ჩამოთვლილი კურსის სასწავლო შედეგები არარელევანტურია. დამატებით, არარეალურია კონკრეტული სასწავლო შედეგების მიღწევა ერთ კონკრეტულ სემესტრში. მაგალითად, "ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები", რომელიც პირველ სემესტრშია შესული, მოიცავს შემდეგს:

***<u>დასკვნების გამოტანის უნარი</u>***
სტუდენტს შეუძლია განახორციელოს საკუთარი პრაქტიკა კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული შეფასება და ანალიზი თვითშეფასების, კოლეგების, სკოლის პრინციპების, სტუდენტებისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე. შეუძლია ძლიერი და სუსტი წერტილების იდენტიფიცირება და ადეკვატური პროფესიული განვითარების ინიციატივების განხორციელება.
***<u>კომუნიკაცია</u>***
სტუდენტს შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური გარემოს არსებობას შესაბამის სტრატეგიების, მათ შორის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.
იგივე ითვალისწინებს, რა თქმა უნდა, "სასკოლო მენეჯმენტი", რომელიც მესამე სემესტრში ისწავლება. სწავლის შედეგები მოითხოვს კომპლექსური, უმაღლესი ხარისხის უნარ-ჩვევების მიღწევას, თუმცა, სტუდენტებისგან არ არის მოსალოდნელი და სავალდებულო საბაკალავრო კურსების ადრეულ ეტაპებზე ყოველივე ამის რეალიზაცია. სილაბუსში ჩამოთვლილი სასწავლო მასალების უმრავლესობა ეფუძნება კურსის ძირითად სამიზნეებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კურსის მასალაში მითითებულია ისეთი ლიტერატურა, რომელიც მოძველებულია და არ მოიცავს ინფორმაციას კონკრეტულ დარგში ახლად განვითარებული მოვლენების შესახებ. ბუნებრივი მეცნიერებების ინტეგრირებული კურსი 2 ცვლილებებით (გეოგრაფია და ასტრონომია) მოიცავს 1961-2003 წლებში გამოქვეყნებულ ლიტერატურას. ეს უნდა შეიცვალოს უახლესი მიღწევებისა და აღმოჩენების შესაბამისად.

კურსის სილაბუსები მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. გარკვეული კურსები არასწორად განკუთვნილი საფეხურის მასალით შეისწავლება. ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია, რომ კურსი ერთდროულად ასწავლის როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრატურის დონეებს, სინამდვილეში ეს მესამე სემესტრშია შესული (იხ. ზემოთ აღნიშნული კურსი). იგივე შესაძლებელია ითქვას შემდეგ კურსებზე: "საგანმანათლებლო ფსიქოლოგია", "ასაკთან დაკავშირებული ფსიქოლოგია"

და ა.შ. ASPIRE- ის პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსები უნდა გადაიხედოს და დამუშავდეს, რათა შეესაბამებოდეს სხვა პროგრამების, მაგალითად "კომუნიკაცია-აუტიზმი"-ს სტილსა და სტრუქტურას.

პროგრამა ახალია და ამ ეტაპზე შეუძლებელია, განისაზღვროს არის თუ არა საჭირო ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება იმ სტუდენტებთან, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. თუმცა, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ ინგლისური ენის ელემენტარული ენის კომპეტენციაც კი არ არსებობს. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი აპირებენ მონაწილეობა მიიღონ უფასო ინგლისურენოვან კურსებში, რომლებსაც უნივერსიტეტი საშემოდგომო სემესტრში შესთავაზებს.

o

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

- სწავლის შედეგების გადახედვა შემდეგი კურსებისთვის: "ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები" და "სკოლის მენეჯმენტი"
- განაახლეთ ლიტერატურა კურსისთვის "საბუნებისმეტყველო მეცნიერების ინტეგრირებული კურსი 2", შეიტანეთ ცვლილებები (გეოგრაფია და ასტრონომია), რათა კურსი მოიცავდეს უახლეს მიღწევებსა და აღმოჩენებს.
- უზრუნველყავით, რომ სტუდენტები ფლობდნენ გამართულ ინგლისურ ენას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

გადახედეთ ინტეგრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი**<br>**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ახალი პროგრამა დაფუძნებულია სჯსსუ-ს ბაკალავრის (240 კრედიტის) პროგრამით დაწყებითი განათლების მასწავლებლებისთვის. ახალი პროგრამის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული მოიცავს 60 კრედიტს, სადაც პრაქტიკული კომპონენტი გაერთიანებულია მეთოდოლოგიურ კურსებში, ისევე როგორც ცალკეული სკოლის პრაქტიკის კურსი და პრაქტიკის კვლევა.

სკოლის პრაქტიკის კომპონენტი პოტენციურ დამსაქმებლებთან ერთად იყო მოლაპარაკებული, რომლის შემდეგაც მემორანდუმს მოეწერა ხელი, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპონენტის შეუფერხებელი განხორციელება სწავლის პროცესში.

ამ ახალი პროგრამისთვის შემუშავებული პრაქტიკის კონცეფციის თანახმად, პრაქტიკის კომპონენტი მიზნად ისახავს სასწავლო პრაქტიკის მომზადებას შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული ცოდნით და უნარ-ჩვევებით, ასევე პედაგოგთა პროფესიული სტანდარტების მიხედვით დადგენილი მასწავლებლის კომპეტენციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ინდივიდუალური პრაქტიკის კურსი ითვალისწინებს აქტიური პრაქტიკის კომპონენტს პირველადი განათლებისათვის შესაფერისი სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით. პრაქტიკაში განვითარება გულისხმობს მონაწილე სტუდენტის აქტიურ ჩართულობას ორივე, გაცნობით და პრაქტიკულ სასკოლო აქტივობებში.

გაცნობითი დონის პრაქტიკა გულისხმობს სტუდენტის პროცესში ჩართულობას დამკვირვებლის როლში. ამ ტიპის პრაქტიკა სტუდენტს პასუხისმგებლობას არ აკისრებს საორგანიზაციო საქმიანობსა და დაგეგმარებაზე, პირიქით, ის ხელს უწყობს სტუდენტს გამოიყენოს ისეთი კვლევითი უნარები, როგორიცაა ფოკუსირებული დაკვირვება, მონაცემთა შეგროვება და სხვა. მეორეს მხრივ, აქტიური პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტებს მათი პრაქტიკული და თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას. ეს გამოცდილება ეხმარება სტუდენტებს სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და მონაწილეებთან კომუნიკაციაში.

სკოლების უმრავლესობა, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას, მდებარეობს მუნიციპალიტეტში. რამდენიმე დამსაქმებელმა გამოხატა აზრი, რომ პრაქტიკა უნდა ტარდებოდეს რეგიონებში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ამ დამოკიდებულებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საგანმანათლებლო
პროგრამის მემორანდუმი
პრაქტიკა
პრაკტიკის კონცეფცია

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასკოლო პრაქტიკის ადმინისტრირებისას ადამიანი რესურსების თანაბარი გადანაწილების უზრუნველყოფა (ქალაქის ცენტრის გარდა სტუდენტების გაგზავნა დისტანციურ ადგილებში).
- პრაქტიკოსი მენტორის მნიშვნელოვანი ჩართულობა სკოლაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

☐

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| --- |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლების სამიზნე შედეგების მიღწევის მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა მეთოდების გამოყნება - ზეპირი მეთოდი, მუშაობა სახელმძღვანელოზე, შეჯამება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, როლის ცვლილება, დისკუსია, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. თითოეული კურსის სწავლების მეთოდი ეფუძნება კურსის ბუნებასა და შინაარსს.<br><br>კურსებში ხაზგასმულია ინოვაციებისა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ინტერპრეტირებულია ლექტორების მიერ როგორც გუნდური სამუშაო და კურსში კვლევითი მეთოდების ჩართულობა. ზოგიერთმა ლექტორმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ უნარების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით ისინი მუშაობენ გუნდურად, მათ შორის გარემოს დაცვის კვლევითი უნარების პრაქტიკული გამოყენების პროცესში. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ჩანს ბუნდოვანი აღმოჩნდა დაწყებითი დონის სწავლების მეთოდოლოგია (მაგალითად, ბუნებრივი მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგია).<br><br>პროგრამაში მონაწილე ლექტორები პრაქტიკოსები არიან სათანადო დარგებში და გააჩნიათ სწავლების გამოცდილება.<br>ისინი ხაზს უსვამენ სწავლისა და სწავლების მეთოდების ტრეინინგებისა და ვორკშოპების მნიშვნელობას და იმედოვნებენ, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს ახალ ლექტორებში ამ უნარჩვევების განვითარებას. ასევე, სწავლებისა და სწავლის პროცესებში ძალზედ მნიშვნელოვანია არსებული პერსონალის შენარჩუნება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>საგანმანათლებლო<br>პროგრამის კურსი -<br>სილაბუსი - |

| |
|---|
| ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>გადაამოწმეთ, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები ყოველთვის შეესაბამისებოდეს სასკოლო განათლების დონეს. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიდაქტიკაში T & L მეთოდები სცდება სასკოლო განათლების დონეს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით  ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |
| **მნიშვნელოვანი**<br>**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>პროგრამის მიერ მნიშვნელოვანი მიღწევა ან/და პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ  (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ერთიანი მარეგულირებელი სისტემა სტუდენტების შეფასებისთვის ყველა დონეზე.

გამოცდების ადმინისტრირება ხდება საგამოცდო ცენტრში, რომელიც ასევე ელექტრონული სწავლების კურსებს მართავს. სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები გათვალისწინებულია სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ელექტრონული ბაზის მეშვეობით. სემესტრის დასაწყისში სტუდენტებს ეძლევათ ამობეჭდილი სილაბუსი. ტრეინინგის კურსებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმები: წერითი გამოცდა, ზეპირი დავალება, და პრეზენტაცია. აკადემიური კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტი და კრიტერიუმი დადგენილი უნდა იქნას კურსის დამფუძნებლის მიერ. სტუდენტისა და პედაგოგის პროგრესისა და ნაკლოვანებების მონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რომელიც განსაზღვრავს წარუდგინა თუ არა ლექტორმა სტუდენტებს კურსის სილაბუსი, შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერა და საჭირო მასალა კურსის დასაწყისში.

სამაგისტრო სადისერტაციო კომიტეტი შეიძლება შედგებოდეს შესაბამისი დარგის მეცნიერებისაგან. აპელაციის კომიტეტის წევრების კომპენსირება არ ხდება დამატებითი სამუშაოს გაწევისთვის - ის ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში.
